განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
## ქართული ფილოლოგია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
## შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

21 იანვარი, 2019

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

28. 01. 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

12. 03. 2019

თბილისი

2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქართული ფილოლოგია |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | **ფილოლოგიის ბაკალავრი**<br>**1005** |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხვთისო მამისიმედიშვილი<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანჟელა აბულაძე<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე სტანდარტებისა და ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი ქართულ ფილოლოგიაში. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს სათანადო ცოდნას როგორც ქართულ ფილოლოგიაში, ისე ზოგადად, ჰუმანიტარულ დისციპლინებში. ამასთანავე, პროგრამის მიზანია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ჰქონდეს კომპლექსური და სისტემური ცოდნა შესაბამის დარგში, ქართულ ფილოლოგიაში. ფილოლოგიურ განათლებასთან ერთად პროგრამა გარკვეულწილად უზრუნველყოფს სტუდენტებს განუვითაროს სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევები შესაბამისი აკადემიური საფეხურისათვის, ასევე, შესწავლის მეცნიერული პატიოსნებისა და სამეცნიერო ეთიკის ნორმების დაცვას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების #34 (16. 01. 2019) თანახმად, 2019 წლის 21 იანვარს შპს საქართველოს უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი, ანჟელა აბულაძე.
ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე/შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
სამუშო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა შპს საქართველოს უნივერსიტეტში, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სასწავლო პროცესს, შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სკოლის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან. შემდეგ შედგა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ვინაიდან პროგრამა აკრედიტებულია, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და პოტენციურ დამსაქმებლებს.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აუდიტორიები, სამუშაო ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია და სხვ.
შეხვედრის განმავლობაში დაზუსტებულ იქნა ინფორმაცია პროგრამის, მისი სტრუქტურისა, შესაბამისი დოკუმენტაციის, ცალკეული სილაბუსების შესახებ.

ვიზიტის დროს ყურადღება გამახვილდა სტუდენტთა ნაშრომებზე. ექსპერტები გაეცნენ სტუდენტთა ნაშრომებს, მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომებს.

ვიზიტის დროს ყურადღება გამახვილდა პროგრამის დამატებით არჩევით სპეციალობებზე, მათ შორის, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან არჩევით დამატებით სპეციალობაზე. ექსპერტები საფუძვლიანად გაეცნენ აღნიშნულ საკითხს როგორც უნივერსიტეტის რეგულაციების, ისე, საქართველოს კანონმდებლობის თვალსაზრისით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ხარისხის მართვის სამსახურსა და სკოლის ადმინისტრაციას წარუდგინეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უახლესი საკანონმდებლო ვითარება. კერძოდ, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი საგნების ერთობლიობა შეადგენს 162 კრედიტს. თავისუფალი კრედიტები განსაზღვრულია მთლიანობაში 18 კრედიტით, ხოლო დამატებითი სპეციალობის საგნები შეადგენს 60 კრედიტს. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს დამატებითი სპეციალობა ხელოვნებისა და ჰუმანიტარული, ან სხვა სკოლების საბაკალავრო პროგრამებიდან, ან მასწავლების მომზადების პროგრამიდან. აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გამახვილდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან გასაუბრების დროსაც. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მასწავლების მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას, რომელმაც ცალკე გაიარა აკრედიტაცია და სტუდენტებს საშუალება აქვთ ბაკალავრიატში სწავლის განმავლობაში გაიარონ აღნიშნული პროგრამა, მიიღონ მასწავლებლის სერტიფიკატი, ხოლო შემდგომ იმუშაონ სკოლაში პედაგოგებად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სკოლა, სადაც ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები დამატებითი სპეციალობით, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამით, გადიან პრაქტიკას, ხოლო კურსდამთავრებულთა დიდი უმრავლესობა სწორედ აღნიშნულ სკოლაში საქმდება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა მოიძია ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის შესახებ. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 47$^2$ მუხლის მიხედვით, მასწავლების მომზადების ერთწლიანი პროგრამაზე დაშვება განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ბაკალავრიატის საფეხურის დასრულებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ჩატარებული შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების შემდგომ. შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტებმა ვიზიტის დროს განუმარტეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომ უნივერსიტეტი ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, რომლებიც ჩაირიცხნენ 2017 წლიდან და შემდგომ, დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას ვერ შესთავაზებენ. საკითხის ისტორიისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებას გავლილი აქვს აკრედიტაცია 2014 წელს იმ დროინდელი მოქმედი კანონდებლობის პირობებში. ხოლო 2016 წელს დაწესებულებამ გაიარა აკრედიტაცია (16 მარტი), რადგან შეიცვალა დარგობრივი მახასითებელი. 2016 წლიდან მასწავლებლის მომზადების 60

კრედიტიან პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ჩაბარებული საგნის გამოცდა. დაწესებულებას დამატებითი პროგრამის სახით (Minor) მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე არ გაუვლია აკრედიტაცია, აღნიშნული საკითხი განემარტა საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს. უნდა აღინიშნოს, რომუნივერსიტეტის ადმინისტრაცია მზად არის იმსჯელოს ამ საკითხზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიიღოს კონსულტაციები შესაბამისი სამთავრობო უწყებებიდან და საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები (დაწვრილებით, იხ. ანგარიში).

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  - შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სასწავლო დისციპლინების ერთობლიობა განაპირობებს სტუდენტისათვის აღნიშნულ დაგრში მნიშვნელოვანი, კომპეტენტური და თანამედროვე ცოდნის მიღებას. პროგრამა შედგება როგორც ზოგადად ჰუმანიტარული, ისე, სპეციალური ფილოლოგიური საგნებისაგან, რაც შეესაბამება თანამედროვე სწავლების სპეციფიკას.
  - ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი და მიღწევადი, ამასთან, არის რეალისტური და, უმეტეს შემთვევაში, თანხვედრაშია პროფესიულ და დარგობრივ მოთხოვნებთან.შპს საქართველოს უნივერსიტეტს აქვს ამ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია მისი დახვეწა-გაუმჯობესება.

- **რეკომენდაციები**

  - სავალდებულო საგნებში: ძველი ქართული ენა და პალეოგრაფია და ქართული მითოლოგია და ფოლკლორი, სასწავლო მასალა გადანაწილდეს ცალ-ცალკე სილაბუსებში, სახელდობრ, „ძველი ქართული ენა და პალეოგრაფია“ გაიყოს ორ ნაწილად 1. „პალეოგრაფია“, 2. „ძველი ქართული ენა“. ასევე „ქართული მითოლოგია და ფოლკლორი“ გაიყოს ორ ნაწილად და ჩამოყალიბდეს 6-6 კრედიტიან სასწავლო კურსები: 1. „ქართული ფოლკლორი“, 2. „ქართული მითოლოგია“, რომლებსაც სტუდენტები შეისწავლიან სხვადასხვა სემესტრში. შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნულ კურსებში სილაბუსების შეცვლა და სასწავლო თემატიკის გადანაწილება.
  - საგნის, “შესავალი ქართულ ფილოლოგიაში,” განსახილველ და სასწავლო საკითხებს შორის მოცემული უნდა იყოს ქართული ლიტერატურის საკითხები, რადგან საგანი,

“შესავალი ქართულ ფილოლოგიაში” თანაბრად უნდა მოიცავდეს როგორც ქართული ენათმეცნიერების, ისე ქართული ლიტერატურის საკითხებს.

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თავდაპირველი აკრედიტაციის დროს ექსპერტების რჩევებში აღნიშნულია, რომ სასურველია, საგნების სილაბუსები შეივსოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით. აღნიშნული რჩევა არ არის გათვალისწინებული ზოგიერთ საგანში. პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის ექსპერტების აზრითაც, საჭიროა, რომ სილაბუსებში შეივსოს ლიტერატურა.

- მოხდეს პროგრამის მიზნების შესაბამისობა მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებთან. კერძოდ, პროგრამის სტრუქტურიდან ამოღებული უნდა იქნეს მასწავლებელთა მომზადების პროგრამის გავლის შესაძლებლობა სტუდენტებისათვის, რადგან აღნიშნული დამატებითი სპეციალობა, 60 კრედიტიანი პროგრამა, მიმდინარე საკანონმდებლო რეგგულაციებთან არ არის თანხვედრაში.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - განახლდეს წიგნადი ფონდი დამხმარე სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით;

  - სასურველია, უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურსა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას შორის მეტი კომუნიკაცია მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამასთან, ასევე, დამატებითი სპეციალობის საკითხებთან დაკავშირებით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

  - პროგრამის ხელახალი აკრედიტაციისთვის განახლდა პროგრამის სილაბუსები. სავალდებულო საგნებს: ქართული ენა 1, ქართული ენა 2, ქართული ენა 3, რუსთველოლოგია.

  - გაერთიანდა რამდენიმე საგანი. მათ შორის: საგნები: შესავალი მსოფლიო ისტორიაში I და შესავალი მსოფლიო ისტორიაში II გაერთიანდა ერთ საგნად შესავალი მსოფლიო ისტორიაში.

- შეიცვალა საგანთა სახელწოდება და შინაარსი. მათ შორის: საგანი: შესავალი ფილოლოგიაში შეიცვალა ქართული ფილოლოგიისათვის უფრო მისაღები კურსით: შესავალი ქართულ ფილოლოგიაში.

- პრორგამიდან ამოღებულ იქნა არარელევანტური საგნები. მათ შორის: საგანი საოფისე კომპიუტერული პროგრამები და ინტერნეტი - ამოღებული იქნა პროგრამიდან პირველკურსელების მაღალი საბაზისო ცოდნის დონის გამო.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>• შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს უნივერსიტეტის მისიას და ამზადებს თანამედროვე სტანდარტებისა და ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტს ქართულ ფილოლოგიაში. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს სათანადო ცოდნას როგორც ქართულ ფილოლოგიაში, ისე ზოგადად, ჰუმანიტარულ დისციპლინებში. ამასთანავე, პროგრამის მიზანია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ჰქონდეს კომპლექსური და სისტემური ცოდნა შესაბამის დარგში, ქართულ ფილოლოგიაში. ფილოლოგიურ განათლებასთან ერთად პროგრამა გარკვეულწილად უზრუნველყოფს სტუდენტებს განუვითაროს სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევები შესაბამისი აკადემიური საფეხურისათვის, ასევე, შესწავლის მეცნიერული პატიოსნებისა და სამეცნიერო ეთიკის ნორმების დაცვას.<br>• პროგრამის მიზნებში აღნიშნულია: „ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს, კურსადამთავრებულს მისცეს ისეთი განათლება, |

| |
|---|
| რომ მან შეძლოს წარმატებული სამსახურებრივი კარიერის შექმნა; უზრუნველყოს იგი ზოგადად ჰუმანიტარულ და ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური საკითხების ცოდნით და გააცნოს მას ლიტერატურათმცოდნეობითი და ენათმეცნიერული კვლევის დანიშნულება და მნიშვნელობა; განუვითაროს ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, მათი ისტორიულ და კულტურულ ჭრილში განხილვის, კომენტირებისა და ინტერპრეტირების უნარი; შეასწავლოს ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია; მისცეს ინგლისური ენის ცოდნა, რათა შეძლოს წარმატებული კომუნიკაცია; გამოუმუშაოს სტუდენტს პრაქტიკული უნარები ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სფეროებში; დაეხმაროს, გაიაზროს ქართული ლიტერატურა და კულტურა ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში. **აგრეთვე, პროგრამის მიზანია, ფილოლოგიის ბაკალავრს ქართული ფილოლოგიის სპეციალობით ჰქონდეს ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ ცოდნა, რათა მან პედაგოგიური მიმართულებით დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში შეძლოს დასაქმება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად სკოლაში;** შეძლოს მუშაობა მასმედიის და საგამომცემლო სფეროში, საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების საფუძველზე კი - სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელება. ფართო ჰუმანიტარულ–ფილოლოგიურ განათლება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჩვევები კურსდამთავრებულის არა მხოლოდ ქართული ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების საშუალებასაც აძლევს. ამასთან, პროგრამის მიზანია, გამოუმუშაოს ახალგაზრდას მეცნიერული პატიოსნებისა და ღირსების შეგნება, რათა საკუთარი თავდაუზოგავი შრომითა და მაღალი პროფესიონალიზმით ხელი შეუწყოს ჩვენს საზოგადოებაში ჯანსაღი სამოქალაქო შეგნებისა და დემოკრატიული იდეების დამკვიდრებას“. სტუდენტებთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას, როგორც დამატებით სპეციალობას, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატს, და შეეძლებათ იმუშაონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებლებად. აღნიშნული საკითხი კი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი47[2] (დეტალურად ამ საკითხის შესახებ იხ. 2. 2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი).<br>• მიზანშეწონილია, მოხდეს პროგრამის მიზნების შესაბამისობა მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

| |
|---|
| • კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>• შპს საქართველოს უნივერსიტეტის მისია<br><br>• ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა<br><br>• ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში<br><br>• ინტერვიუები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან<br><br>• ინტერვიუები ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ პერსონალთან<br><br>• ინტერვიუები ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან<br><br>• ინტერვიუები ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებთან |
| რეკომენდაციები:<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>▪ მოხდეს პროგრამის მიზნების შესაბამისობა მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებთან. კერძოდ, პროგრამის სტრუქტურიდან ამოღებული უნდა იქნას მასწავლებელთა მომზადების პროგრამის გავლის შესაძლებლობა სტუდენტებისათვის, რადგან აღნიშნული დამატებითი სპეციალობა, 60 კრედიტიანი პროგრამა, მიმდინარე საკანონმდებლო რეგგულაციებთან არ არის თანხვედრაში. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

| |
|---|
| |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>Xმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>• შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სასწავლო დისციპლინების ერთობლიობა განაპირობებს სტუდენტისათვის აღნიშნულ დარგში მნიშვნელოვანი, კომპეტენტური და თანამედროვე ცოდნის მიღებას. პროგრამა შედგება როგორც ზოგადად ჰუმანიტარული, ისე, სპეციალური ფილოლოგიური საგნებისაგან, რაც შეესაბამება თანამედროვე სწავლების სპეციფიკას.<br>• ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი და მიღწევადი, ამასთან, არის რეალისტური და, უმეტეს შემთვევაში, თანხვედრაშია პროფესიულ მოთხოვნებთან.<br>• პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, ფილოლოგიის ბაკალავრის ხარისხს. ექსპერტების აზრით, პროგრამას გააჩნია მძლავრი ინფრასტრუქტურა, გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კვალიფიციური სპეციალისტები, თუმცა, მიზანშეწონილია კურიკულუმსა და სილაბუსებში გარკვეული კორექტირების შეტანა (დეტალურად იხ. 2.2; 2.3) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტრვიუები აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან
- ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებ ლოპროგრამისმ იზანი, სწავლისშედეგე ბიდამათთანპრ ოგრამისშესაბამ ისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>• შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #224/ნ (29. 12. 2011) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და საქართველოს უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე.<br>• პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები არის გამჭირვალე და პროცედურები სამართლიანი. ჩარიცხვის წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდიდან (www.ug.edu.ge), ასევე, სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიარონ კონსულტაციები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელთან ან დეპარტამენტის უფროსთან.<br>• პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მითითებულია დამატებითი საგანი ქართულ ლიტერატურაში (15 ადგილი), ისტორიაში (5 ადგილი), გეოგრაფია 5 ადგილი, სამოქალაქო განათლება 5 ადგილი. აღნიშნული გადანაწილება შესაძლებელია შეფასდეს დადებითად. |

| |
|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>● კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>● შპს საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი<br>● ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა<br>● ინტრვიუები აკადემიურ პერსონალთან<br>● ინტერვიუები სტუდენტებთან<br>● ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია შპს საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით.
- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება მოხდა სკოლის დირექტორის და/ან შესაბამის სკოლაში შემავალი დეპარტამენტის უფროსის მიერ. პროგრამის ინიციატორი სკოლის საბჭოზე წარადგენს დასკვნას პროგრამის მიზანშეწონილობის შესახებ. სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებისა და პოტენციური დამსაქმებლების მიერ. საბაკალავრო პროგრამის შემუშავების შემდეგ პროგრამა გადაეცემა აკადემიურ საბჭოს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ თანხმობის შემთხვევაში პროგრამა მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე.
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება "ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების შესაბამისად.
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, საგნები სემესტრების მიხედვით განაწილებულია ზოგადიდან კონკრეტულისკენ, რაც ხელს უწყობს ზოგადჰუმანიტარულ ცოდნასთან ერთად სპეციალობის შესაბამისი კვალიფიკაციის გამომუშავებას.ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგება ძირითადი და არჩევითი დისციპლინებისაგან. პროგრამის ძირითადი საგნების ერთობლიობა შეადგენს 162 კრედიტს. თავისუფალი კრედიტები განსაზღვრულია მთლიანობაში 18 კრედიტით, ხოლო დამატებითი სპეციალობის საგნები შეადგენს 60 კრედიტს. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს დამატებითი სპეციალობა ხელოვნებისა და ჰუმანიტარული, ან სხვა სკოლების საბაკალავრო პროგრამებიდან, ან მასწავლების მომზადების პროგრამიდან.
- აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გამახვილდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და

კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან გასაუბრების დროსაც. კერძოდ, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მასწავლების მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას, რომელმაც ცალკე გაიარა აკრედიტაცია და სტუდენტებს საშუალება აქვთ ბაკალავრიატში სწავლის განმავლობაში გაიარონ აღნიშნული პროგრამა, მიიღონ მასწავლებლის სერტიფიკატი, ხოლო შემდგომ იმუშაონ სკოლაში პედაგოგებად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სკოლა, სადაც ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები დამატებითი სპეციალობით, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამით, გადიან პრაქტიკას, ხოლო კურსდამთავრებულთა დიდი უმრავლესობა სწორედ აღნიშნულ სკოლაში საქმდება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა მოიძია ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის შესახებ. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, $47^2$ მუხლის მიხედვით, მასწავლების მომზადების ერთწლიანი პროგრამაზე დაშვება განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ბაკალავრიატის საფეხურის დასრულებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ჩატარებული შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების შემდგომ. შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტებმა ვიზიტის დროს განუმარტეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომ უნივერსიტეტი ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, რომლებიც ჩაირიცხნენ 2017 წლიდან და შემდგომ, დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას ვერ შესთავაზებენ. საკითხის ისტორიისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებას გავლილი აქვს აკრედიტაცია 2014 წელს იმ დროინდელი მოქმედი კანონდებლობის პირობებში. ხოლო 2016 წელს დაწესებულებამ გაიარა აკრედიტაცია (16 მარტი), რადგან შეიცვალა დარგობრივი მახასითებელი. 2016 წლიდან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ჩაბარებული საგნის გამოცდა. დაწესებულებას დამატებითი პროგრამის სახით (Minor) მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე არ გაუვლია აკრედიტაცია, აღნიშნული საკითხი განემარტა საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს.

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განმარტა, აღნიშნულ საკითხს შეისწავლის თავისი კომპეტენციის ფარგლებში და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტიან პროგრამაში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ექსპერტთა აზრით, აღნიშნული საკითხი პირდაპირ არ უკავშირდება ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს, რადგან დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტიანი პროგრამა არ არის ინტეგრირებული სახით აკრედიტებული ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში და რომ ამ პროგრამებმა: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრგამამ (240 კრედიტი) და მასწავლებლის მომზადების დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტიანმა

| |
|---|
| პროგრამამ ცალ-ცალკე გაიარეს აკრედიტაცია (2016 წელი). თუმცა, ექსპერტთა აზრით, პროგრამის სტრუქტურიდან ამოღებული უნდა იქნეს მასწავლებელთა მომზადების პროგრამის გავლის შესაძლებლობა სტუდენტებისათვის, რადგან აღნიშნული დამატებითი სპეციალობა, 60 კრედიტიანი პროგრამა, მიმდინარე საკანონმდებლო რეგგულაციებთან არ არის თანხვედრაში (აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. იხ. 1. 1.). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>• ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა<br>• თვითშეფასების ანგარიში<br>• ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br>• ინტერვიუს შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან<br>• ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან<br>• ინტერვიუს შედეგები მოწვეულ პერსონალთან<br>• ინტერვიუს შედეგები დამსაქმებელთან<br>• ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან<br>• ინტერვიუს შედეგები კურსდამთარებულებთან |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>• სასურველია, უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურსა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას შორის მეტი კომუნიკაცია მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამასთან, ასევე, დამატებითი სპეციალობის საკითხებთან დაკავშირებით. |

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.3. სასწავლო კურსი** |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>• ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პრორგამაში შეთავაზებული საგნების ერთობლიობა უზრუნველყოფს ფილოლოგიის დარგის საბაკალავრო საფეხურისათვის განსაზღვრული კვალიფიკაციის მიღწევადობას.<br>• სილაბუსები შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად. სილაბუსები უნიფიცირებულია, თითოეული კურსისათვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა არის 6 (150 საათი), რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის დროს.<br>• ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი და არჩევითი საგნების დიდი ნაწილი თანხვედრაშია სწავლის შედეგებთან, თუმცა ცაკლეულ |

შემთვევებში აღინიშნება გარკვეული ხარვეზები.

- სავალდებულო საგნები: “ძველი ქართული ენა და პალეოგრაფია” (6 კრედრიტი); “ქართული მითოლოგია და ფოლკლორი” (6 კრედიტი), წარმოადგენს მომიჯნავე საგნების გაერთიანებას. საგნების გაერთიანებისას კი, შესაძლოა, სტუდენტს ხელი შეეშალოს ქართული ფილოლოგიის კომპეტენციების სრულ დაუფლებაში. კერძოდ, სილაბუსებში: “ძველი ქართული ენა და პალეოგრაფია” და “ქართული მითოლოლოგია და ფოლკლორი”, მომიჯნავე საგნები გაერთიანებულია ხელოვნურად და წარმოდგენილი საკითხები არ მოიცავს საკითხთა სრულ სპექტრს. მიზანშეწონილია, რომ აღნიშნულ კურსებში სასწავლო მასალა გადანაწილდეს ცალ-ცალკე სილაბუსებში, სახელდობრ, „ძველი ქართული ენა და პალეოგრაფია“ გაიყოს ორ ნაწილად 1. „პალეოგრაფია“, 2. „ძველი ქართული ენა“. ასევე „ქართული მითოლოგია და ფოლკლორი“ გაიყოს ორ ნაწილად და ჩამოყალიბდეს 6-6 კრედიტიან სასწავლო კურსები: 1. „ქართული ფოლკლორი“, 2. „ქართული მითოლოგია“, რომლებსაც სტუდენტები შეისწავლიან სხვადასხვა სემესტრში. შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნულ კურსებში სილაბუსების შეცვლა და სასწავლო თემატიკის გადანაწილება.
- სავალდებულო საგნის „ქართული მითოლოგია და ფოლკლორი“ შესახებ დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ: წარმოდგენილი სილაბუსის სალექციო შინაარი მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ თემებს მითოლოგიიდან და საერთოდ არ ეხება ფოლკლორისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორიც არის ფოლკლორის დეფინიცია; ფოლკლორის შემქმნელი საზოგადოება; ფოლკლორული შემოქმედების სპეციფიკა (ხალხური ტექსტის ზეპირი გავრცელება, ანონიმურობა, ვარიანტულობა, კოლექტიურობა, ტრადიციულობა, იმპროვიზაცია, ყოფითობა, სინკრეტიზმი); ფოლკლორის მიმართება ლიტერატურასთან; ფოლკლორის ჟანრული სისტემა. სწავლების საბაკალავრო საფეხურზე ყველა ფოლკლორული ჟანრის შესწავლა, რა თქმა უნდა, აუცილებელი და სავალდებულო არ არის, მაგარამ, წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით, არცერთი სალექციო საათი არ ეთმობა ქართული ფოლკლორის ისეთი მნიშვნელოვანი ჟანრების შესწავლას, როგორიც არის საზღაპრო ეპოსი (ჯადოსნური ზღაპარი, საყოფაცხოვრებო ზღაპარი, ცხოველთა ზღაპარი), საგმირო, საწესჩვეულებო და სატრფიალო პოეზია. შესაბამისად სტუდენტს არ ეძლევა არანაირი ცოდნა ქართული ფოლკლორის კლასიკად აღიარებული არაერთი ნაწარმოების შესახებ. სასწავლო კურსი არ ითვალისწინებს ისეთი ფოლკლორული ძეგლების შესწავლას, როგორიც არის, „ვეფხვი და მოყმე“, „შემომეყარა ყივჩაღი“, „თავფარავნელი ჭაბუკი“, და სხვ. ასევე მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სასწავლო კურსის სილაბუსში შეტანილი იყოს ამ დარგის მთელ მსოფლიოში აღიარებული მკვლევარის მირჩა ელიადეს შრომები. მით უფრო, რომ ბოლო წლებში მირჩა ელიადეს რამდენიმე წიგნი ქართულ ენაზეც ითარგმნა: 1. მ. ელიადე, მითის ასპექტები, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009; 2. მ. ელიადე, მარადიული

დაბრუნების მითი, არქეტიპები და განმეორებადობა, გამომცემლობა „ალეფი“, თბ., 2017; 3. მ. ელიადე, მითები, სიზმრები და მისტერიები, გამომცემლობა „ალეფი“, თბ., 2018. ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს ექნება „ზეპირსიტყვიერების შემოქმედების სპეციფიკის, ფოლკლორის ჟანრებისა და ფოლკლორისტიკის მიმართების ცოდნა მოსაზღვრე დისციპლინებთან“. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სავალდებულო სასწავლო კურსის „ქართული მითოლოგია და ფოლკლორის“ ორ ნაწილად წარმოდგენა. აგრეთვე, საჭიროა აღმოიფხვრას ხარვეზი და კონკრეტული საგნის თემატიკა შესაბამისობაში მოვიდეს ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულ სწავლების შედეგებთან.

- საგანში: “შესავალი ქართულ ფილოლოგიაში” შესასწავლი საკითხები და განსახილველი თემები ეხება მხოლოდ ქართული ენის საკითხებს: 1. ენის რაობა და ფუნქციები. ქართული ენის წარმოშობა. მისი ადგილი მსოფლიო ენობრივ სივრცეში; 2. ენა და მისი დიალექტები. სალიტერატურო ენა. თქმა, იდიოლექტი, კოინე, ჟარგონი. 3. სწავლა-განათლებისა და კულტურის კერები ძველ საქართველოსა და საზღვარგარეთ. 4. ქართული გრამატიკული აზროვნების ჩასახვა და განვითარება საქართველოში. 5. ქართული ენის განვითარების საფეხურები. ენობრივი რეფორმა მე-19 საუკუნეში. სამი სტილის თეორია. 6. ქართულ ფონემათა კლასიფიკაციის საფუძველი (ბგერა და ფონემა). სამეტყველო ორგანოები. ბგერათა დახასიათება წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით. საარტიკულაციო ბაზისი. ფონემების გამოყოფა. ხმოვანთა სისტემები. 7. თანხმოვანთა კლასიფიკაციის საფუძვლები. თანხმოვანთა სუნთქვიერი და უსუნთქველი წარმოება. ასპირაცია. ხშულ თანხმოვანთა სამეულებრივი სისტემები. ნაპრალოვნობა ანუ სპირანტულობა. აფრიკატები. ცალეულთა სისტემა. 8. დამწერლობის წარმოშობა. პიქტოგრაფიული, იდეოგრაფიული, ანბანური დამწერლობები. ქართული დამწერლობა. ტრანსკრიფცია. 9. ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა. ისტორიული ცნობები. ქართული დამწერლობის წარმოშობის თეორიები: ბერძნული, სომხური, სემური. ქართული დამწერლობის წარმოშობის ქრონოლოგია. ანბანის აგების პრინციპი და ტრანსლიტერაცია. 10. წელთაღრიცხვის სისტემები ძველ საქართველოში. მათემატიკურ-ასტონომიული ქრონოლოგია. ისტორიული ქრონოლოგია. დასაბამითგანი, ქრონიკონი, ქრისტესით. ისმაიტელთა წელთაღრიცხვა (ჰიჯრა). 11. ლექსიკონები. სასურველია, ამავე საგნის ფარგლებში მოცემული იყოს ქართული ლიტერატურის საკითხები, რადგან საგანი, “შესავალი ქართულ ფილოლოგიაში” თანაბრად უნდა მოიცავდეს როგორც ქართული ენათმეცნიერების, ისე ქართული ლიტერატურის საკითხებს. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პასუხში აღნიშნულია: „გასაზიარელად არ მიგვაჩნია ეს რეკომენდაცია... ევროპის უნივერსიტეტებში შეთავაზებული ანალოგიური დისციპლინები მოიცავენ საკითხის მხოლოდ ლინგვისტურ ასპექტებს“. ჩვენ საგანგებოდ დავაკვირდით ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტის ანალოგიურ საბაკალავრო კურსებს, სადაც

ფილოლოგიის შესავალი მოიცავს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებს (დეტალურად იხ. არისტოტელეს (საბერძნეთი), კილის (გერმანია) ვენის (ავსტრია), ბონისა (გერმანია) და სხვა უნივერსიტეტების ვებგვერდები და შემდეგი ბმულები: https://qa.auth.gr/de/class/1/280113754 https://www.klassalt.uni-kiel.de/de/Lehre/allgemeine-materialien-griechisch/einfuehrung-in-das-studium-der-griechischen-philologie https://ufind.univie.ac.at/de/vvz_sub.html?path=94946 https://www.philologie.uni-bonn.de/de/personal/hintzen/Einfuehrung%20in%20das%20Philologische%20Arbeiten%2016-02-17.pdf )

- გასათვალისწინებელია ისიც, რომ საგანში, "შესავალი ქართულ ფილოლოგიაში" წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით, განსახილველი საკითხების ერთი ნაწილი შეტანილია აგრეთვე საგნების: ენათმეცნიერების შესავალი, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ქართული ენა 1 სილაბუსების მიხედვით ფარავს ერთმანეთს, შეიცავს ერთსა და იმავე ლიტერატურას. სასურველია, გაიმიჯნოს საგნების სპეციფიკა საკითხებისა და სასწავლო ლიტერატურის მიხედვით.
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თავდაპირველი აკრედიტაციის დროს ექსპერტების რჩევებში აღნიშნულია, რომ სასურველია, საგნების სილაბუსები შეივსოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით. აღნიშნული რჩევა არ არის გათვალისწინებული ზოგიერთ საგანში. პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის ექსპერტების აზრითაც, სასურველია, რომ სილაბუსებში შეივსოს ლიტერატურა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- სავალდებულო საგნებში: ძველი ქართული ენა და პალეოგრაფია და ქართული მითოლოლოგია და ფოლკლორი, სასწავლო მასალა გადანაწილდეს ცალ-ცალკე სილაბუსებში, სახელდობრ, „ძველი ქართული ენა და პალეოგრაფია" გაიყოს ორ ნაწილად 1. „პალეოგრაფია", 2. „ძველი ქართული ენა". ასევე „ქართული მითოლოგია და ფოლკლორი" გაიყოს ორ ნაწილად და ჩამოყალიბდეს 6-6 კრედიტიან სასწავლო კურსები: 1. „ქართული ფოლკლორი", 2. „ქართული მითოლოგია", რომლებსაც სტუდენტები შეისწავლიან სხვადასხვა სემესტრში. შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნულ კურსებში სილაბუსების შეცვლა და სასწავლო თემატიკის გადანაწილება.
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თავდაპირველი აკრედიტაციის დროს ექსპერტების რჩევებში აღნიშნულია, რომ სასურველია, საგნების სილაბუსები შეივსოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით. აღნიშნული რჩევა არ არის

გათვალისწინებული ზოგიერთ საგანში. პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის ექსპერტების აზრითაც, საჭიროა, რომ სილაბუსებში შეივსოს ლიტერატურა.

- საგნის, "შესავალი ქართულ ფილოლოგიაში," განსახილველ და სასწავლო საკითხებს შორის მოცემული უნდა იყოს ქართული ლიტერატურის საკითხები, რადგან საგანი, "შესავალი ქართულ ფილოლოგიაში" თანაბრად უნდა მოიცავდეს როგორც ქართული ენათმეცნიერების, ისე ქართული ლიტერატურის საკითხებს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☐<u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
